ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 127

27 აპრილი
"___" _____ 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი VII, შესახვევი №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.11.026.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი VII, შესახვევი №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.11.026.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 7 აპრილის №21.444.468 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი VII, №5-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.11.026.001) ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

ქ.თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, VII შესახვევი №5

№	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ფართი (კვ.მ.)	სართული	საკადასტრო კოდი
1	მაია დობორჯგინიძე	26001004164	98.70	სართული 1	01.17.11.026.001.01.508
2	ნინო სამხარაძე	01014004294	48.37	სართული 1	01.17.11.026.001.01.507